ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 17 (1352)

25—31 მაისი, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 მაისი — საქართველომ ამ დღეს გადაიგდო შრუსთა მონობის უღელი. 117 წლის მონობის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს საქართველო განთავისუფლდა, მაგრამ 2 წლის, 9 თვისა და 9 დღის შემდეგ ჩვენი სამშობლო კვლავ გოლგოთის გზას შეუყენეს ნაცადმა მტრებმა.

1993 წლის 26 მაისს ხვდება მონობიდან თავდასხნილი ახალი საქართველო. თანამემამულენო, დავიცვათ ჩვენი თავისუფლება, დავიცვათ ჩვენი შვილების ბედნიერი მომავლის გარანტია.

წინ, დავით აღმაშენებლის საქართველოსაკენ!

26 მაისს დაიბადა ეროვნული გმირი **მერაბ კოსტავა.** თავს ვხრით სამაგალითო მამულიშვილის უკვდავი ხსოვნის წინაშე.

ილია გრიშაშვილი

საქართველოს ზოდიაქი

მე დღევანდლამდე, ყველამ იცოდა,
მეჯავრებოდა წითელი ფერი,
ბევრჯერ მუზამაც ხომ შემიცოდა,
არ მომცა ლექსი გადასაწერი:

მეუბნებოდა უცადე დროსა
და როცა აღსდგეს ერი ქართველი
მაშინ მომიხმე! და შენი დროშა
აღარ დარჩება აუმართველი.

და წამოვისხი გლოვის პორფირი
და ვსთქვი: „აწ მართლაც რა მემგოსნება?“
მძულდა ჩრდილეთი ფლიდი, ორპირი,
მძულდა თვით ქართლის პატიოსნება...

მაგრამ დღეს როცა მზე ღამეც მნათობს,
როცა დასცვივდა მთას ყინვის თვლები
ჩემი აზრიც კი სხლტება, კამათობს,
რომ ქართველ მგოსნად მეც ჩავითვლები.

მიყვარდა ტუჩი! და შევიძაგე,
თვით ალერსსაც კი ვეტყვი უარსა.
რად მინდა ვარდი! რად მინდა ბაგე!
დღეს საქართველო ჯვარს იწერს...ჯვარსა

და მეც დამკოცნის სხვა ანგელოსი
და მეც დღეიდან დამეუფლება
თავისუფლება საქართველოსი
და ჩემი ლექსის თავისუფლება!

ლედაქალაქი ვარდისთვე 26 (პირველად დაიბეჭდა გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, 28 მაისი, № 442, რის შემდეგ ის არ გადაბეჭდილა არცერთ კრებულსა თუ ტომეულში)

ლექსი მოგვაწოდა
იუზა ლორთქიფანიძემ

27 მაისი საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის ბატონ **ნოდარ ნათაძის** დაბადების დღეა.

საქართველოს სახალხო ფრონტი და გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია ულოცავენ ბატონ ნოდარს დაბადების დღეს.

გზა...

სამხედრო მანქანების კოლონა სოხუმიდან ოჩამჩირეში მიემგზავრება. მათ ტანსაცმელი, იარაღი და ტყვია-წამალი გადააქვთ. კოლონას ავტომატებით შეიარაღებული 15 კაციანი ჯგუფი აცილებს. მათი მეთაური ჩემს წაყვანაზე დამეთანხმა და კინოდოკუმენტალისტთა ჯგუფთან ერთად წასავლელად ვემზადებოდი. ამ კოლონასთან წამოსვლას აპირებს დეპუტატთა ოთკაციანი ჯგუფი. მათ შორის ბატონი ნოდარ ნათაძეც არის. ჯარისკაცები მანქანაში სხდებიან. ბატონ ნოდარს სხვა დეპუტატებთან ერთად ვოლგით წამოსვლას სთავაზობენ. უარობს, მე ბიჭებთან ერთად ვიმგზავრებო. ჩვენს სამხიდიან მანქანასთან მოდის, ხელებით ძარას ეჭიდება და მარჯვენა ფეხის ამოდგმას ცდილობს. არ გამოსდის. ფეხი ვერ ამოსწია საჭირო სიმაღლეზე. გვერდი შეიცვალა და მეორე ფეხით მოსინჯა. მაინც ვერ შეწვდა. გულზე ჩამოკიდული ავტომატი მოიხსნა, ეტყობა, ეს მიშლის ხელსო. კიდევ ერთხელ ეცადა და კვლავ გაუჭირდა. მერე ბიჭებმა ხელი წააშველეს და ძარაზე შემოხტა.

ასაკოვანი ხალხისგან ხშირად მომისმენია: მუხლი და მკლავი აღარ მომდევს, თორემ გული კვლავაც ახალგაზრდული მაქვს. ბატონ ნოდარის ახალგაზრდული გულის შესახებ კარგად მოგვეხსენება, მაგრამ, მუხლი, ეტყობა, მართლა ვეღარ უჭრის. მიუხედავად ამისა, იგი მაინც საბრძოლო ფორმაშია. სამხედრო უნიფორმასა და აკურატურად პატარა „ბათინკებში" გამოწყობილი მეომრებს შორის ჩაჯდა. ავტომატი ფეხებს შორის დააყუდა.

კოლონა დაიძრა. გზის ზოგიერთ უბანზე მტრის პარტიზანულად მოქმედმა ჯგუფებმა შესაძლებელია მანქანებს ცეცხლი გაუხსნან. ამიტომ ნელა ვმოძრაობთ. დრო და დრო ვჩერდებით. უკან მომავალ მანქანებს ველოდებით და კვლავ გზას ვაგრძელებთ. გზაზე ალაგ-ალაგ წვიმისა და ქარისაგან გამოხუნებული ქართული დროშები ფრიალებენ. გზადაგზა დროშების დამაგრება მეომრული ტრადიციაა. ბატონი ნოდარი ჯარისკაცებთან საუბრობს. მე კი მასზე ვფიქრობ:

„დღეს პრეზიდენტმა საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა" — მეხსიერებაში მისი სიტყვები ამოტივტივდა. ეს იყო 1991 წლის 2 სექტემბერი, როდესაც საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ კინოს სახლთან მცირერიცხოვანი მიტინგი გამართა. მიტინგს დაძაბულობა თავიდანვე ეტყობოდა. ჯერ კიდევ დაწყებამდე ვიღაც უცნობებმა ორჯერ მოახდინეს ჩხუბის პროვოცირება. მიტინგის დაწყებისთანავე თეთრჩაფხუტიანმა და რეზინის ხელკეტებიანმა სპეცდანიშნულების ჯგუფმა შეკრებილი ხალხის დაშლა დაიწყო. ხალხმა წინააღმდეგობა გაუწია. წინააღმდეგობის გაწევა ეგრე არ უნდაო და რეზინის ხელკეტები იშიშვლეს. ისინი 9 აპრილის შემოქმედთ საოცრად ჰგავდნენ. ჩემს მეგობართან (გია თვალავაძესთან) ერთად ჯავახიშვილის აღმართის დასაწყისში ვიდექით, კარგად ჩანდა, მომიტინგეთა თავებს ზევით რეზინის ხელკეტები, თუ რაოდენი მონდომებით მუშაობდნენ. წინ მდგომები რომლებსაც უშუალოდ ხვდებოდათ, გაქცევას ცდილობდნენ, მაგრამ მოულოდნელობით გაოგნებული ხალხის მასის გარღვევას ვეღარ ახერხებდნენ. გაცოფებულ სპეცრაზმელების მიერ უსუსურ მდგომარეობაში მყოფი მშვიდობიანი მომიტინგეების ულმერთოდ ცემა იმდენად ალმაშფოთებელი იყო, რომ შეძრწუნებული ხალხი განწირული ხმით კიოდა — შეჩერდით! შეჩერდით! რას შვრებით, ხალხი არ დახოცოთ! მაგრამ მათი ხმა უკვე ალარავის ესმოდა. ერთმანეთში ირეოდა: ტირილი, კივილი, წყევლა, გინება, სისხლი და ცრემლი. მიტინგის დამრბევებმა პისტოლეტები გააძრეს და სროლა გამართეს.

ვხედავდი მათ გააფთრებულ სროლას და ვერ ვიჯერებდი, რომ ქართველი სპეცრაზმელები თავისივე ქართველ ხალხს ნამდვილ ტყვიებს ესროდნენ. როდესაც ხალხი პანიკური ყვირილით გარბოდა მეზობელ ქუჩებისაკენ, გულუბრყვილოთ ვამშვიდებდი — ნუ გეშინიათ, „ხალასტოი" ტყვიებს ისვრიან მეთქი. ჩვენს მტერს მოხვდეს ისეთი „ხალასტოი" ტყვია, როგორისაც ისინი ისროდნენ.

იქვე მრავლად იყვნენ წესრიგის დასაცავად მოყვანილი მილიციელები, რომლებსაც ხალხის ეს არაადამიანური დასჯა რომ დაინახეს, მათ დარბევაში წილი აღარ დაიდეს.

შევამჩნიე, რამოდენიმე მათგანს თვალზე ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლი. მათი ვინაობა დღესაც კარგად მახსოვს.

ეს იყო ხელისუფლების მიერ მოსახლეობის პირველი გამეტება, ცხრა აპრილი სხვის მიერ იყო მოწყობილი და გულიც სხვაზე დაგვწყდა. ორი სექტემბრის მიტინგის დარბევა კი ჩვენი ეროვნული მთავრობის სიურპრიზი იყო და აქ გულდაწყვეტილობის მაგივრად ტკივილი გაჩნდა. ეს იყო იმედგაცრუების, საკუთარი უსუსურობითა და შეურაცხყოფით გამოწვეული ტკივილი. მომიტინგეებისაგან განთავისუფლებულ, ქვებით, ჯოხებითა და სისხლით მოფენილ მოედანს ვათვალიერებდით, როდესაც საშინელი ქარი ამოვარდა. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ კარგი ამინდი იყო, მოულოდნელად გაჩენილი ქარბორბალა დატრიალდა, მტვერი და ფურცლები მოხვეტა, წრეში დააბრუნა და ბაწარივით დაგრეხილი ერთ სვეტად ცაში აზიდა. ეს იმდენად მოულოდნელსა და უჩვეულო მოვლენას წარმოადგენდა, რომ მის საკრალურ მნიშვნელობაზე ინტუიცია გაუცნობიერებელი იმპულსებით მიგვანიშნებდა. უცნაური და უცაბედი ქარბორბალა მხოლოდ ადამიანური შესაძლებლობებით ალჭურვილმა გონებამ ვერაფრით ახსნა.

საიდან გაჩნდა მიტინგის დარბევისთანავე სწორედ იმ ადგილზე ასეთი ძლიერი ქარბორბალა? რას მიგვანიშნებდა მტრობადანთხეულ მოედანზე მისი ბრუნვა? იქ მოხვეტილი ფურცლებისა და ჭუჭყის დატრიალება, ზევით აზიდვა და გაფანტვა ხომ არ იყო ბოროტი სულის თარეში, მისი ზეასვლა და მთელს თბილისსა და სრულიად საქართველოზე გაშლა-გაფანტვა?

დარბეული მომიტინგეები სიმართლის საძიებლად ტელევიზიისაკენ წავიდნენ. ბატონი ნოდარი გულამომჯდარი მოვარდა. დარბეულ მომიტინგეთა პატარა ჯგუფმა, რომელიც რუსთაველის ძეგლთან იდგა, მაშინვე მეგაფონი მიაწოდა ხელში. ბატონ ნოდარს მაშინ სხვა თითქმის არაფერი უთქვამს, გარდა ამისა — „დღეს პრეზიდენტმა საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა!"

ეს იყო, როგორც უკვე ვთქვით, 1991 წლის 2 სექტემბერი. მას შემდეგ ურთიერთრევამ და დაუნდობლობამ უკვე ახალ დროში ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ის მიტინგი დღევანდელი დღის გადასახედიდან მსუბუქ სიზმარივით მოსჩანს. ქართველის მიერ ქართველის გამეტებით გამოწვეული გულისტკივილი იმდენად მძიმე და ღრმა გახდა, რომ გაცილებით უფრო საშინელი დასანახია, ვიდრე დედაქალაქის დალეწილი და გაპარტახებული დედაქუჩა.

კვლავ ბატონ ნოდარის ლაკონური და საოცრად ზუსტი სიტყვები მახსენდება განაჩენის შესახებ, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ მართლაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

ჩვენი კოლონა ტამიშს უახლოვდებოდა. მანქანები სვლას კიდევ უფრო ანელებენ. ბიჭები რკინის ჩაფხუტებს იხურავენ და ხელში ავტომატებს იმარჯვებენ. ბატონი ნოდარი გაუნძრევლად ზის. ოდნავ მოჭუტული თვალებით გზისპირა ტყეებს გაჰყურებს და განსაცდელის საშიშროებას არ იმჩნევს. გზა კვლავ გრძელდება. გზა, რისკითა და ხიფათით აღსავსე.

გოგიტა მელიქიძე

რედაქციისაგან: წერილი და ფოტო, ცხადია, ბატონ ნოდარ ნათაძესთან შეუთანხმებლად ქვეყნდება. ჩვენს გაზეთში ამ ხასიათის მასალის გამოქვეყნებაზე იგი ყოველთვის წინააღმდეგი იყო, ასე იქნებოდა ამჯერადაც. ამასთან გასაგები მიზეზების გამო რედაქციაც თავს იკავებდა, მაგრამ რაკი არ ცხრებიან ნ. ნათაძის უსამართლო მლანძღველები „მეორე ბანაკიდან", იძულებულნი ვართ მისი პიროვნების დამფასებლებსაც მივცეთ დრო და დრო სიტყვა...

„საქართველო იყო მისი საოცნებო სახელი"

ეს პატარა, ტკივილიანი ნარკვევი მერვეკლასელმა გოგონამ — სოფიკო ხუციშვილმა მოგვიტანა რედაქციაში. წერილი ეძღვნება მის ბიძას, საქართველოს ერთიანობისთვის გმირულად დაღუპულ ალეკსი ხუციშვილს.

ომმა პატარა გოგო-ბიჭების სულზეც დააჩნია მძიმე კვალი... მერვეკლასელი სოფიკო უკვე ავტორია ომის თემაზე შექმნილი ნარკვევისა, ვუსურვებთ მას ასე ნიჭიერად ეწეროს, ოღონდ არა ომის თემაზე. მომავალში ამის საჭიროება აღარ ყოფილიყოს...



..და იყო კაცი ნოსტალგიით შეპყრობილი. იგი სამშობლოდან შორს იყო, ძლიერ შორს. სწყუროდა ქართული მიწიდან ამომდინარი ანკარა წყარო, ქართული მიწა, მთა, ჰაერი. იგი იტანჯებოდა, მიუხედავად მისი მატერიალური უზრუნველყოფისა. მას ენატრებოდა სულიერი სიმშვიდე. იგი სიმარტოვეს გრძნობდა, თუმცა მის ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა. საქმე ის იყო, რომ მას ვერავინ უგებდა, ვერავინ ხედავდა მის ტანჯვას.

დრო კი გაუგონარი სისწრაფით გადიოდა, ის კი მაინც სამშობლოზე ფიქრში იყო, მაინც ენატრებოდა ქართული ზეცა, მისი მშობლიური, მთაზე შეფენილი სოფელი, მისი ნათესავები, ენატრებოდა ბავშვობა, ო, როგორ ენატრებოდა უდარდელი ბავშვობა.

იგი სამხედრო პირი იყო, მან პოდპოლკოვნიკის წოდება მიიღო, ამან ცოტა ხნით შეუმსუბუქა ტკივილი, მაგრამ მალე გაახსენდა სამშობლო: — რა მიხარია? რისთვის ვიბრძვი? ნუთუ თანამდებობისთვის? ვის ვიცავ? ვის სამშობლოს? არა, მე აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში!

ხანდახან მელანქოლია შეიპყრობდა: — რომ ვეღარ ველირსო სამშობლოს — რომ ვეღარ ვნახო ჩემი საქართველო?! სამუდამოდ ხომ არ დავკარგე სამშობლო? ვაი თუ ვეღარ ველირსო სამშობლოს ნახვის ბედნიერებას?!

ორი ბიჭი ყავდა, ორივეს ასწავლა ქართულად მეტყველება, ამით ცოტათი მაინც ინუგეშებდა თავს.

და დადგა დრო, დრო ბედნიერი, იგი დაუბრუნდა სამშობლოს, იხილა ქართული ზეცა, მთები, ნათესავები, იხილა თავისი სოფელი, თუმცა იქ ორი კაცის მეტი აღარავინ დარჩენილიყო, მაინც უხაროდა იქ ყოფნა, გაიხსენა ბავშვობა, გაიხსენა უკვე გარდაცვლილი მშობლები. იქვე, სოფელში წმინდა გიორგის ხატი იყო, იქ ილოცა, მადლობა შესწირა მოწყალებისათვის. იგი ბედნიერი იყო, უზომოდ ბედნიერი, მაგრამ მაინც რაღაც აწუხებდა, აწვალებდა. იგი გრძნობდა, მისი სამშობლო გასაჭირში იყო, მის სამშობლოს დახმარება სჭირდებოდა.

ის ხშირად დადიოდა ნათესავებთან, სტუმრად იწვევდა მათ, რათა თავისი ოჯახი ყველასთვის გაეცნო.

შემდეგ, შემდეგ კი წავიდა ომში, „ავაზას" 114 შტაბის უფროსად დანიშნეს.

იგი თავგამეტებით იბრძოდა. სიცოცხლესაც არ იშურებდა გამარჯვებისათვის და დაიჭრა კიდეც, ერთ-ერთ ძლიერ შემოტევაზე მძიმედ დაიჭრა. ლოგინთან მიჯაჭვული მაინც თავის მებრძოლებზე ლაპარაკობდა: — მარტო დავტოვე, უმწეოდ, მე კი უდარდელად ლოგინში ვწევარო.

გამოჯანმრთელებისთანავე ისევ ომში წასვლისთვის გაემზადა. ყველა ეხვეწებოდა, აღარ წასულიყო, რომ მან ხომ მოიხადა თავისი ვალი, იგი ხომ მძიმედ იყო დაჭრილი, მაგრამ არა, მას რა დაასვენებდა სახლში, მას ფრონტის წინა ხაზზე ბიჭები ელოდნენ, მტრის სისხლს მოწყურებული ბიჭები. იგი წავიდა სიკვდილის შესახვედრად. ჩასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ ისინი მტრის ალყაში აღმოჩნდნენ, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა, ტყვია-წამალი შემოაკლდათ, საწყობი აფეთქებული იყო, მაგრამ მაინც შეუპოვრად მიიწევდა წინ, მარცხენა ხელ-ფეხი დალეწვოდა, მაინც არ ყრიდა ფარ-ხმალს. ვაჟკაცური შეძახილებით ამხნევებდა მებრძოლებს. ხედავდა როგორ ეცემოდნენ მის ირგვლივ სამშობლოს მთლიანობისათვის ზვარაკად შეწირულნი, ეს უფრო ახელებდა, გული უკვდებოდა, როდესაც ხედავდა რომ ამ შეტევაში მტერთან მოგება არ ეწერა, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა, წაგება დამარცხებას ხომ არ ნიშნავდა ყოველთვის?

მოუშვეს ავტომატის ჯერი მკვლელებმა, ჯალათებმა. — მუხლზე დაცემული თითქოს სამშობლოს ავედრებდა ღმერთს. იქ დასრულდა მისი ცხოვრება, ბრძოლის ველზე.

ნეტა რას ფიქრობდა სიკვდილის წინ? ალბათ სამშობლოს ჯავრი ჩაჰყვა, ან იქნებ ობლად დარჩენილ შვილებზე ფიქრობდა?!

მსუბუქი იყოს სამშობლოს მთლიანობისათვის შეწირული, ჭეშმარიტი ვაჟკაცისათვის მშობლიური ქართული მიწა.

სოფიკო ხუციშვილი

რუსეთი და მისი მეზობლები

პოლ გოუბელი

პოლ გოუბელი არის ერთერთი წამყვანი ამერიკელი სოვეტოლოგი, სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური მრჩეველია. ვფიქრობთ, ავტორიტეტული ჟურნალის „ფორინ პოლისი“ ბოლო ნომერში დაბეჭდილ სტატიაში მოცემული თვალსაზრისი დაინტერესებს მკითხველს და განსაკუთრებულია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირებისას. სტატია იბეჭდება უმნიშვნელო შემოკლებებით.

ამჟამინდელი რუსეთის ყველაზე სერიოზული პრობლემა, შესაძლოა არა ეკონომიკური რეფორმა, არამედ დანარჩენი 14 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობასთან შეგუება იყოს. ეს ძალზე სერიოზული საკითხია. მასზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად შესძლებს რუსეთი დემოკრატიაზე გადასვლას, თავისი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას და საერთაშორისო თანამეგობრობაში ადგილის დამკვიდრებას. საკითხი რთულია იმის გამოც, რომ იგი არარუსებზე მეტად თავად რუსების სტატუსს შეეხება. არც მეფის დროს და არც საბჭოთა იმპერიის პირობებში რუსეთის წინაშე არ დამდგარა ის პრობლემა, რომელიც ახლა დგას: ზუსტად განემარტათ თუ ვინ არის რუსი და სად თავდება საკუთრივ რუსეთის ტერიტორია. ამის განმარტება თავად რუსეთის საქმეა, მაგრამ ამ საქმეში თავისი როლი უნდა ითამაშონ დასავლეთმაც და რუსეთის ახალმა მეზობლებმაც.

ორი უმთავრესი საკითხია: რა არის რუსეთი? და ვინ არიან რუსები? დღეს რუსების ნაწილი ცდილობს უარყოს საბჭოთა კავშირის დაშლის რეალობა და ცდილობს „დაკარგულის“ დაბრუნებას. მაგრამ უმრავლესობა, როგორც ჩანს, მაინც ახალი მოდუს ვივენდის გამომუშავებისაკენ მიისწრაფვის. სამწუხაროდ, ამ ახალი ცხოვრების წესთან შერიგება მათთვის ძალზე ძნელი საქმე შეიძლება აღმოჩნდეს.

ამ საკითხებში რუსების დღევანდელ სირთულეებს დიდი ხნის ისტორია აქვთ. მე-XIV საუკუნეში მონღოლთა განდევნის შემდეგ რუსეთის გამგებლებმა იწყეს სხვა ხალხების შემოერთება, რამაც განსაკუთრებული გამოხატულება 1552 წელს ყაზანის აღებაში ჰპოვა. ეს მოხდა გაცილებით იმაზე ადრე, ვიდრე რუსები ჩამოყალიბდებოდნენ როგორც ერი. იმპერია იზრდებოდა და მე-XVII საუკუნეში იგი მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოდ იქცა. რუსეთის გამგებლები ახალი მოსახლეობისაგან მოითხოვდნენ ერთადერთს — მორჩილებას და სხვა საკითხები მაინცდამაინც არ აინტერესებდათ. ამის შედეგად, არ იყო გარკვეული არც ხალხის და არც სახელმწიფოს საზღვრები. ეს კი ფსიქოლოგიურ ორაზროვნებას ქმნიდა. თავისთავად, როგორც რუსეთი, ასევე საბჭოთა კავშირი განსხვავდებოდნენ თანამედროვე იმპერიებისაგან. ზუსტად განსაზღვრული მეტროპოლია და კოლონიების ნაცვლად, ისინი შედგებოდნენ გაურკვეველი ცენტრისა და პერიფერიისაგან. სწორედ ამიტომ რუსებისათვის ყოველთვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო იმპერიის რომელიმე ნაწილის მოწყვეტა, როგორი განსხვავებულიც არ უნდა ყოფილიყო ამ ნაწილის მოსახლეობა.

საბჭოთა სახელმწიფომ გაამძაფრა ძველი პრობლემა. კომუნისტურმა იდეოლოგიამ არა მხოლოდ დააკანონა ექსპანსიონიზმი, არამედ კიდევ უფრო შეანელა და დაამახინჯა რუსების ეროვნული განვითარება.

სტალინმა შექმნა ტერიტორიული ერთეულები ეთნიკური თავისებურებების და მოსახლეობის ნების იგნორირებით. ყველაფერი ისე მოეწყო, რომ გაგრძელებულიყო ეთნიკური დაძაბულობა, რესპუბლიკების შიგნით შეიქმნა უმცირესობათა ერთეულები და მოსკოვს მიეცა ამ ეთნიკური დაძაბულობის მართვის ბერკეტები.

გარეშე დამკვირვებლები დიდი ხანია ხვდებოდნენ, თუ რა მომავალი ელოდა საბჭოთა სახელმწიფოებრივ სტრუქტურას სსრკ-ს რესპუბლიკებში. მაგრამ ისინი ხშირად ვერ ამჩნევდნენ თავად რუსეთის ფედერაციის არაერთგვაროვნებას. სწორედ ეს არაერთგვაროვნება შეიძლება აღმოჩნდეს სტალინის ის უკანასკნელი მომაკვდინებელი ნაღმი, რომელიც ბოლოს მოუღებს მათ, ვინც დაშალა მისი შრომის შედეგად შექნილი სტრუქტურა. სიძნელე მხოლოდ იმაში როდია, რომ რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის თითქმის ერთი მეხუთედი არ არის რუსი ეროვნების. რუსეთის ფედერაციის გარეთ ცხოვრობენ მილიონობით ადამიანები, რომლებიც თავს რუსებად თვლიან და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სურთ რუსეთის მოქალაქეები გახდნენ. ამ კატეგორიის ადამიანებთან დაკავშირებული დაძაბულობა იმითაც არის გამოწვეული, რომ საბჭოთა სახელმწიფომ ექსტერიტორიული სტატუსი მხოლოდ რუსებს შეუქმნა. მხოლოდ რუსებს ჰქონდათ საზოგადოებრივი ინსტიტუტები მათ ენაზე, იმის მიუხედავად, თუ სად ცხოვრობდნენ ისინი.

დღეს ფაქტობრივად რუსეთის ფედერაციის გარეთ 25 მილიონი რუსი სახლობს. საბჭოთა კავშირის სხვა ერებისაგან განსხვავებით რუსები არასდროს არ აღიქვამდნენ სამშობლოდ რუსეთის ფედერაციას.

რუსეთი იმ ქვეყნის ერთ-ერთ ნაწილად მიაჩნდათ, რომლის მთელ ტერიტორიაზე ისინი ისე გრძნობდნენ თავს, როგორც საკუთარ სახლში. ამ თვალსაზრისმა კიდევ უფრო გააღრმავა ჯერ კიდევ მეფის დროიდან მოყოლებული მათი თვითშეგნების გაორება.

იმის შეგრძნება, რომ რუსეთი უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე საკუთრივ რუსეთის ფედერაციაა, გააღრმავა სსრკ-ს დაშლის შედეგად წარმოქმნილ 14 ქვეყანასთან მოსკოვის ურთიერთობათა სირთულეებმა. ადრე გორბაჩოვი, მოსკოვი და რუსები თავს არ იწუხებდნენ რესპუბლიკებთან მოლაპარაკებებით. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი იცვლებოდა, ცენტრი ჩვეულებისამებრ უბრალოდ ბრძანებებს გასცემდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რესპუბლიკებმა დამატებით სიძნელეები შეუქმნეს რუსების თვითიდენტიფიკაციას. დამოუკიდებლობასთან ერთად იკლო 15 რესპუბლიკის საერთო მახასიათებლების როლმა და გაშიშვლდა ის, რაც მათ განასხვავებს, კერძოდ, მათი გეოგრაფია, კულტურა, ეკონომიკა, ნაციონალიზმი და პოლიტიკა.

არ არის გასაკვირი რუსების და გარეშე დამკვირვებელთა უმრავლესობის ცდები დაასაბუთონ პოლიტიკური კავშირის შენარჩუნების აუცილებლობა ძირითადი აქცენტის 15 ახალი ქვეყნის საერთო მახასიათებლებზე გადატანით.

საბჭოეთის კრახმა ... მოაჩინა კულტურული ... დასხვაობა. ყველა არარუსული ჯგუფი მიისწრაფვის მსოფლიო კულტურაში პირდაპირი ინტეგრირებისაკენ. მათთვის მიუღებელია პრაქტიკა, როდესაც მათი მონაწილეობა მსოფლიო კულტურაში რუსების გავლით ხდებოდა. ახალი სახელმწიფოები განსხვავდებიან რესურსებით და იმითაც, რომ ზოგიერთი მათგანი უფრო მორგებულია ერთმანეთს სხვებთან შედარებით.

ნაციონალიზმის როლი დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში სრულიად განსხვავებული იყო სხვადასხვა რეგიონებში. დასავლური რესპუბლიკებისათვის ეროვნული მოძრაობა და ეროვნული მიზნები დამოუკიდებლობამდე საკმაო ხნით ადრე იყო დამახასიათებელი, მაშინ როდესაც შუა აზიის რესპუბლიკებისათვის დამოუკიდებლობა არცთუ ისე სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. ყოველ ქვეყანას აქვს თავისი საკუთარი პრობლემები. ეს არის მოქალაქეობა ბალტიისპირეთში, არასტაბილურობა შუა აზიაში და ძალადობა კავკასიაში.

რუსების ის ნაწილი, რომელიც ოცნებობს იმპერიის აღდგენაზე, ეს-ენ-გეს განიხილავს როგორც ყოფილი რესპუბლიკების ერთ კონფედერაციაში გაერთიანების საშუალებას, რომელშიც რუსეთი გაბატონებულ მდგომარეობას დაიკავებდა. ეს-ენ-გეს ჯარების სარდალმა მარშალმა შაპოშნიკოვმა, მაგალითად, განაცხადა, რომ ბელორუსიაში, ყაზახეთში და უკრაინაში განლაგებული ეს-ენ-გეს ბირთვული იარაღი შეიძლება აღმოჩნდეს პირველი შემაკავშირებელი ფაქტორი ამ გზაზე. ელცინის პოლიტიკურ მრჩეველს სერგეი სტანკევიჩს მიაჩნია, რომ ყოფილ რესპუბლიკებთან რუსეთის ურთიერთობებს საგარეო საქმეთა სამინისტოკი არ უნდა ახორციელებდეს, არამედ საჭიროა შეიქმნას ეს-ენ-გეს საქმეთა სამინისტრო, რომლის მთავარი ფუნქცია სწორედ რესპუბლიკების ხელახალი ინტეგრირება იქნება.

ბევრი, მათ შორის პრეზიდენტი ელცინი, მზადარის კანონიერად ცნოს 14 რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ამის დასასაბუთებლად მათ სამი მოსაზრება აქვთ. პირველი არის ის, რომ არავის არ მოუვა აზრად იმის მტკიცება, რომ რუსეთმა ერთნაირი პოლიტიკა უნდა გაატაროს მონღოლეთის და პოლონეთის მიმართ იმის გამო, რომ ეს

გაგრძელება მე-8 გვ.

გურამ ფანჯიკიძე — 60

ქართველი მწერალი არასოდეს ეოფილა მხოლოდ „კალმის კაცი“. ბედმა თუ უბედობამ მას მრისკაცის, მოღვაწის ტვირთიც დააკისრა.

ამიტომაც გასაკვირი არაა, მწერალზე საუბრისას-განსაკუთრებით საიუბილეო თარიღების აღნიშვნისას – მის საერისკაცო მოღვაწეობაზე უფრო მეტად რომაა ხშირად აქცენტი გადატანილი, ვიდრე შემოქმედებითზე.

ასე მოხდა ახლახანს, ბატონ გურამ ფანჯიკიძის „შემთხვევაშიც“.

ბევრი – და სამართლიანად – ითქვა მის მრავალმხრივ, „არასამწერლო მოღვაწეობაზე...

ჩვენ ცოტა უფრო „ორიგინალურად“ მოვიქცევით. გავიხსენებთ (და მკითხველს გავახსენებთ) ბატონ გურამის ერთ ჩინებულ მოთხრობას, რომელიც კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ იგი პირველ ყოვლისა, დიდებული მწერალია...

და რადა თქმა უნდა, ვულოცავთ მწერალ გურამ ფანჯიკიძეს დაბადების 60 წლისთავს და ვუსურვებთ ხანგრძლივად, ჩვეული ენერგიით ეეოღვაწეოს ორივე – სამწერლო და საზოგადო ასპარეზზე. ღმერთმა კვლავაც ასე კეთილად ახარჯვინოს თავისი დიდი ენერგია მამულის სამსახურში.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

ქვიშის საათი

— კონსილიუმმა დიდი ყურადღებით იმსჯელა თქვენი ავადმყოფობის დღევანდელ მდგომარეობაზე.

დავითმა ხმის მიმართულებით გაიხედა, მაგრამ ექიმის სახე ვერ დაინახა, ძლივსძლივობით გაარჩია რძისფერ ნისლში მოძრავი ორი შავი წერტილი. მიხვდა, ეს ორი შავი წერტილი ექიმის თვალები იყო.

— ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ საქმე უკეთესობისაკენ მიდის.

რძისფერ ნისლს ნელ-ნელა გამოეყო მოვარდისფერო ოვალი. დავითმა იცნო საავადმყოფოს მთავარი ექიმის მიხეილ თევდორაძის მელოტი თავის ნაცნობი კონტური. ახლა იმ ორამა შავმა წერტილმა, აქამდე უაზროდ რომ მოძრაობდნენ, უკვე მონახა თავისი კუთვნილი ადგილი მოვარდისფერო ოვალში.

— გადაეწყვიტეთ, შინ გაგიშვათ და მკურნალობა ადგილზე გაგიწიოთ. საავადმყოფოში რაც უნდა გაგვეკეთებინა, ყველაფერი გავაკეთეთ. აპარატურა საჭირო აღარ არის. მედიკამენტებით მკურნალობა და მასაჟი შინ უფრო ეფექტური იქნება, თანაც, ძალგეხსენებათ, ოჯახური სიმყუდროვე დადებითი ემოციების წყაროა.

„მოსულა აღსასრული“. — დაასკვნა დავითმა და თვალები დახუჭა.

— ასე რომ, საქმე აშკარად უკეთესობისაკენ მიდის!

ახლა უკვე შორიდან, ძალიან შორიდან ჩაესმა მთავარი ექიმის ხმა. მაინც დაიჭირა ყალბი ინტონაცია. ყველა ექიმზე კარგად თვითონ გრძნობდა, რაც სჭირდა და რა „უკეთესობისაკენ“ წავიდა მისი ჯანმრთელობის საქმე. მართალია, ამას გულში ფიქრობდა მოხუცი აკადემიკოსი, მაგრამ თვითონ კარგად გაიგონა საკუთარი ხმა, დაცინვით რომ თქვა, „უკეთესობისაკენო“.

„არ უნდათ, რომ აქ მოვკვდე“.

„იქნებ ჩემს შვილსაც არ უნდა, რომ საავადმყოფოში მოვკვდე“.

„კაცმა რომ თქვას, მეც საკუთარ ჭერქვეშ მირჩევნია სიკვდილი“.

— მაშ ასე, შევთანხმდით, ხვალ დილით შინ გადაგიყვანთ.

დავითი ყურს აღარ უგდებდა მთავარ ექიმს. იგი ფიქრმა გაიტაცა.

შეეშინდა? კაცმა რომ თქვას, არც თუ ძალიან შეშინებია. იქნებ ასაკის გამო შეეგუა სიკვდილის მოახლოებას? იქნებ ავადმყოფობამაც გააიოლა აღსასრულის მოახლოება?

სიმართლე თუ გნებავთ, დავითს ამ წუთამდე ერთხელაც არ გაუვლია გულში, რომ ეს ავადმყოფობა შეიძლებოდა სიკვდილით დასრულებულიყო. მხოლოდ ახლა მიხვდა, აღარაფერი ეშველებოდა. მაინც შეინარჩუნა სულიერი წონასწორობა, თვითონაც გაუკვირდა თავისი სიმშვიდე. სულ ეს არისო? გაიფიქრა და ტუჩებზე ირონიული ღიმილის მსგავსი რამ გამოესახა.

მთავარი ექიმი შეჩერდა, ავადმყოფს რაიმეს თქმა ხომ არ სურსო, მაგრამ დავითის გაცრეცილმა ტუჩებმა ისევ ძველებური გამომეტყველება მიიღო.

მთავარმა ექიმმა ჩაახველა. თვითონ სათქმელი აღარაფერი ჰქონდა. ისიც იცოდა, რაც მეტს ილაპარაკებდა, ავადმყოფს უფრო დაიეჭვებდა.

„ისევ ჩაეძინა“. — დაასკვნა თენგიზმა.

მთავარმა ექიმმა იცოდა, რომ აკადემიკოსს არ ეძინა. იმასაც მიხვდა, რომ ეს ბოლო ასაკია, კაცს რომ ძალზე მოხუცად ჩაგეთვალა. პირიქით, სამოცდაათ წელს ვერავითარ შემთხვევაში ვერ მისცემდით, სინამდვილეში კი სამოცდაცამეტისა გახლდათ. საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა, თუმცა, ბოლო ხუთი წელი ხშირად ავადმყოფობდა. გონება ძალზე ნათელი ჰქონდა, თავის ასაკთან შეუფერებელი, ახალგაზრდული. დროის მიერ მოტანილ სიახლეებს სწრაფად აღიქვამდა, ახალგაზრდა მეცნიერებთან ურთიერთობაც ამიტომ უიოლდებოდა, ილუზიებით არასდროს უცხოვრია. ახლაც, ექიმის ხმაზე უმალვე მიხვდა, რა უბედურებაც სჭირდა.

— მამა!

დუმილი.

— მამა! — თენგიზმა უმწეოდ შეხედა ექიმს. მიხეილ თევდორაძემ თენგიზს ანიშნა, გავიდეთ, ავადმყოფი მარტო დავტოვოთო.

თვალდახუჭულმა დავითმა თითქოს ამოიცნო მთავარი ექიმის მინიშნება.

— როგორი ამინდია? — იკითხა უცებ ისე, რომ თვალი არ გაუხელია.

გაოცებული მთავარი ექიმი შედგა და შემობრუნდა. ეგონა, ყურმა მოტყუა.

— როგორი ამინდია? — გაიმეორა შეკითხვა ავადმყოფმა.

— შესანიშნავი! მიუგო მთავარმა ექიმმა.

— დღეს რა რიცხვია?

— 25 სექტემბერი.

— ძალიან კარგი.

— რა ბრძანეთ, ბატონო დავით?

— ძალიან კარგი-მეთქი.

— აჰა! — თქვა მრავალმნიშვნელოვნად მიხეილ თევდორაძემ, თუმცა, საერთოდ ვერ მიხვდა, რატომ იყო „ძალიან კარგი“, დღეს რომ 25 სექტემბერი იყო.

— ხვალ დილით, რაც შეიძლება, ადრე წამიყვანეთ: თუ საშუალება გექნებათ, სჯობია, ათ საათზე მაინც მოგაკითხოთ.

დავითმა თვალი ისევ გაახილა. რძისფერ ნისლში ახლა ორი ნეგატივი დაინახა.

— კარგი, მამა, ზუსტად ათის ნახევარზე აქ ვიქნები! — თქვა ერთმა ნეგატივმა, ლოგინის ბოლოში რომ იდგა.

— დარდი არაფრისა გქონდეთ, — ამბობდა მეორე ნეგატივი, — ეს ექიმები ასეთ ამბავს ბევრ ავადმყოფს ეუბნებიან ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოელოდა, ინსტიტუტის თვალში გულისხმიერი ადამიანის სახელსაც იმკვიდრებდა და თავის ძველ მლიქვნელობასაც ამართლებდა. განა მაშინ ფლიდი გახლდით, მართლა უნგაროდ მიყვარდა ჩვენი აკადემიკოსიო".

დავითმა თვალი დახუჭა. ფოტოლაბორატორიაში შუქი ისევ ჩაქრა. გიგანტური სტერეონეგატივიც გაუჩინარდა. დავითმა ჩათვლიმა. უფრო სწორად, ძილი მოერია, ორიოდე წუთით თითქმის გამოეთიშა კიდეც სამყაროს, მაგრამ შემდეგ კვლავ ფიქრები შემოესია. იგი თითქოს ხედავდა კიდეც რუს ფიქრებს, მგლებივით რომ მოიხწრაფოდნენ ყოველი მხრიდან.

„დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე ალბათ აკადემიის პრეზიდენტი იქნება. ალბათ კი არა, აუცილებლად!" შემდეგ მოხუცმა აკადემიკოსმა შვიდიოდე აკადემიკოსისა და პროფესორის გვარიც გადათვალა, ვინც, მისი აზრით, აუცილებლად იქნებოდნენ დამკრძალავი კომისიის წევრები: ამ შვიდკაცს რაიკომის მდივანიც მიამატა. ზოგს თანამდებობით ერგებოდა დამკრძალავი კომისიის წევრობა, ზოგს მასთან უშუალო თანამშრომლობით, ზოგს კი მეგობრობით.

„რასაკვირველია, გოგი ხარაიშვილი დამკრძალავი კომისიის მდივანი იქნება". დავითს მწარედ გაეღიმა. თვალები ახლაც დახუჭული ჰქონდა, მაგრამ ყველაფერს ისე ნათლად ხედავდა, თითქოს ფართოეკრანიან ფერად ფილმს უყურებსო. კარგად ხედავდა სიხარულით სავსე მის მსუქან, მოთუხთუხე სხეულს, სახეზე მწუხარება მოსახდელი ქაფივით რომ მოეგდო.

„ალბათ ინსტიტუტის შენობიდან გამასვენებენ... ნეტავ გულწრფელად ვის ეწყინება ჩემი სიკვდილი?".

დავითი დაფიქრდა. კვლავ მწარედ გაეღიმა. სამიოდ კაცის გარდა ვერავინ აღმოაჩინა მისი გულწრფელი დამტირებელი. კაცი, რომელსაც ამდენი ნაცნობ-მეგობარი და მოწაფე ჰყავდა, მეცნიერი, რომელმაც ამდენი ახალგაზრდა დაავაჟკაცა და გზაზე დააყენა, ნუთუ სამ კაცზე მეტს არ უნდა ჰყვარებოდა გულწრფელად? დავითი ახლა სიკვდილის წინ მიხვდა, რომ მეგობრობას და ჰუმანიტ ძმობას დიდი ენერგიის გაღება უნდა. თვითონ კი, რაც მეცნიერებაში მოძძლავრდა და ინსტიტუტის დირექტორი გახდა, ყურადღებას აქეთ ითხოვდა. მისთვის უახლოესი ნაცნობ-მეგობრებიც ქვეშევრდომებად იქცნენ. გული კეთილი ჰქონდა, ახლობლის დაფასებაც იცოდა და დახმარებაც, მაგრამ დავით იაშვილის საქციელს მეგობრული ელფერი აღარ დაჰკრავდა. მისი ქველმოქმედება ვვერეგვინოსახი კაცისგან ბოდიშულ მოწყალებას უფრო ჰგავდა, ასეთ მოწყალება კი ხშირად მადლიერების მაგიერ ბოღმით უფრო ავსებს ადამიანის გულს.

ფიქრი ფიქრს ენაცვლებოდა. ენაცვლებოდა საშინელი სისწრაფით. თავისი ცხოვრების შორეულ ეპიზოდებსაც კი ნათლად ხედავდა, დაშვებული შეცდომები ახლა, სიკვდილის წინ საოცრად გამოკვეთილად და ნათლად მოჩანდა.

„ღირს კი წარსულზე ფიქრი? ცხოვრება აღარ განმეორდება. რაც მოხდა, მოხდა"

დავითი შეეცადა თავიდან მოეშორებინა ფიქრები და ჩაეთვლიმა, მაგრამ ამაოდ. ისინი სიბნელეში მოდიოდნენ, ბობბოლავდნენ, თითქოს ერთმანეთს ასწრებდნენ, ერთმანეთს ფეხით თელავდნენ, და დავითის ტვინისაკენ მოისწრაფოდნენ. აი, ერთმა მათგანმა იმარჯვა, ყველას გაასწრო და რომელიღაც უჩინარი ნაპრალიდან დავითის ტვინში შეაღწია. აკადემიკოსის ტვინის უჯრედებმა ისე იფეთქა, უთვალავმა ნაპერწკალმა ისე გააბრდღვიალა იქაურობა, თითქოს ვიღაცის გიგანტურმა, რვაფეხასავით საცეცებიანმა ხელმა ელექტრონის მავთულები ჩაბღუჯაო.

„ვის გაეხარდება ჩემი სიკვდილი?"

ამ შეკითხვის ეშინოდა. იგი დიდი ხანია ტრიალებდა დავითის ირგვლივ, თითქმის იმ დღიდან, საავადმყოფოში რომ სასწრაფო დახმარების მანქანით მოიყვანეს. მძიმე, მოშავო და სველი ფიქრი ჯიუტად ცდილობდა დავით იაშვილის სულსა და გონებაში შეეღწია. აკადემიკოსი ებრძოდა ამ ფიქრს, გონებამდე არ უშვებდა. იცოდა, ამ თემაზე ფიქრი უკვე სიკვდილთან შეგუებას უდრიდა. მას კი თავდაპირველად ერთი წუთითაც არ გაუვლია აზრად, რომ შეიძლებოდა მომკვდარიყო.

„ვის გაეხარდება ჩემი სიკვდილი?"

ყველა მათგანის გვარი და სახელი ერთბაშად წარმოსთქვა გონებაში. შემდეგ ისინი სამ ჯგუფად გაყო. პირველ ჯგუფში ისეთები შეიყვანა, რომელთაც აკადემიკოსის სიკვდილი თუ არ გაახარებდა, არც დააღონებდა. მეორე ჯგუფში ადგილი ისეთ მეცნიერებს თუ ნაცნობ-მეგობრებს მიუჩინა, რომელთაც დავითის სიკვდილი სიხარულს კი მოუგვრიდა, მაგრამ არ შეიმჩნევდნენ. პირიქით, მწუხარე სახეს მიიღებდნენ, მიცვალებულს გულის ამაჩუყებელი სიტყვებით გამოეთხოვებოდნენ და შესანიშნავსაც ცრემლმორეული და აკანკალებული ხმით თუ არა, ნაღვლით დამძიმებული სახით მაინც დალევდნენ.

მესამე ჯგუფი არც ისე პატარა გამოვიდა, როგორც ეგონა. ამ ჯგუფში შეყვანილი ადამიანები სიხარულს ალბათ აშკარად გამოხატავდნენ, იმდენი ჭკუაც არ ეყოფოდათ, საკუთარი გულნამეცობა რომ შეენიღბათ და კეთილშობილი ადამიანის როლი ეთამაშათ.

კარის ჭრიალი გაისმა.

„ვინ უნდა იყოს?"

ფიქრები ერთბაშად გაუჩინარდნენ, სადღაც მიიმალნენ.

დამძიმებული უჯეები ძლივს აამოძრაცა. ოთახი მზის სხივებით იყო სავსე, მაგრამ დავითის ირგვლივ მხოლოდ უკუნი ჩამოწოლილიყო. შავ ფონზე ძლივს გაარჩია თეთრხალათიანი ფიგურა.

ექთანი ფეხაკრეფით შემოვიდა. ხელში ნემსი ეჭირა. ალბათ ფიქრობდა, თუ სძინავს, არ გავაღვიძებო, მაგრამ საცოდავად ახამხამებულ წამწამებზე მიხვდა, ავადმყოფს არ ეძინა.

— ბატონო დავით, ნემსი უნდა გაგიკეთოთ.

— ნემსი? განა რაიმე აზრი აქვს ახლა ჩემთვის ნემსის გაკეთებას?

ექთანი შეკრთა. ავადმყოფის უჩვეულო ხმამ შეაკრთო. სიტყვებს დავითის ბაგეები კი არ წარმოსთქვამდა, ხმა მუცლიდან მოდიოდა.

— აზრი როგორ არა აქვს! — წცადა გაღიმება ექთანმა, თან საბანი გადასწია და ავადმყოფის მარცხენა ხელს დასწვდა.

ექთანმაც მშვენივრად იცოდა, რომ აკადემიკოსი, ბევრი-ბევრი, ორ დღეს თუ იცოცხლებდა, მაგრამ არ უნდოდა სახეზე უიმედობა გამოხატვოდა. ხაზგასმულად იღიმებოდა, აქოდა, საშიში არაფერიაო. ცდილობდა, ღიმილი ყალბი არ გამოსვლოდა. ის კი აღარ იცოდა, რომ დავითი უკუნეთში ჩაკარგული მოთეთრო მასის გარდა ვერაფერს ხედავდა.

— ფეხბურთი როდის არის? იკითხა უცებ დავითმა, როცა ექთანმა ნემსი გაუკეთა და ხელზე კვლავ საბანი წააფარა.

— რა ბრძანეთ? — გაოცებული ხმით იკითხა ექთანმა.

— ფეხბურთი როდის არის-მეთქი!

— არ ვიცი, მე არ გახლავართ ფეხბურთის მოყვარული. გავალ, გავიგებ და ახლავე გეახლებით.

ექთანმა კარი ფრთხილად გაიხურა, დავითი წამალმა გააბრუა. სხეულში თითქოს თბილმა ნაკადმა დაუარა.

„რამდენ დღეში მოგკვდები? ალბათ ორ-სამ დღეში. სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის პირველ რიცხვებში თბილისში კარგი ამინდები იცის. რაღა ჩემი დასაფლავების დღეს იწვიმებს. მთავარია, ჩემმა შვილმა გასვენება ფეხბურთის დღეს არ დაამთხვიოს. მიხვდება კი ამდენს? ვინ მოვა მაშინ გასვენებაზე? კაცები ალბათ შემოვარდებიან, ჰირისუფალს ხელს ჩამოართმევენ და შემდეგ პირდაპირ სტადიონს მიაშურებენ. ვინღა გამოჰყვება კუბოს? მხოლოდ სკლეროზიანი პროფესორები და ქალები..."

კარმა ისევ გაიჭრიალა.

დავითი შეეცადა თვალი სწრაფად გაეხილა, მაგრამ დამძიმებულმა ქუთუთოები ძლივს აამოძრაცა.

„კაცმა რომ თქვას, რა ფასი აქვს თვალის გახელას? მაინც ვერაფერს ვხედავ..."

— ბატონო დავით, ჩვენს გუნდს ორი გასვლა ჰქონია, თბილისში მხოლოდ 8 ოქტომბერს ჰქონია თამაში.

— რვა ოქტომბერს. ნეტავ რა დღეა რვა ოქტომბერი?

— რა დღეა? — ექთანი დაფიქრდა.

— შაბათი გახლავთ.

— შაბათი! — გაიმეორა ჩუმად დავითმა და თვალები დახუჭა.

ექთანი ერთხანს კიდევ იდგა საწოლის თავთან. იქნება ავადმყოფმა რაიმეს თქმა ისურვოსო... შემდეგ მიხვდა, რომ აკადემიკოსი ფიქრებში ჩაეფლო და ფეხაკრეფით გავიდა.

„შაბათი დღე. არა, რვა ოქტომბრამდე ვეღარ გავაღწევ".

ფიქრები ისევ მოისწრაფოდნენ ყოველი მხრიდან.

„რას გავახარებ ჩემს მძახლებს!"

კუბოსთან ტრაგიკული სახეებით დადგებიან. ზუსტად ისე, ქეთევანის დასაფლავების დღეს რომ იდგნენ. მაინც როგორ ტიროდა ჩემი რძალი. ცოტა დამაკლდა, მეც კი დავიჯერე მისი ცრემლის სიწრფელე. ახლა კი მოისვენებენ. ორმოცის შემდეგ ალბათ მშობლებს თავისთან გადმოიყვანს. ჩემს უბერხემლო შვილს შინამოსამსახურედ აქცევენ. პანაშვიდისათვის საგანგებოდ შეიკერავს კაბას. დარწმუნებული ვარ, შეკვეთა უკვე მიცემული ექნება. მაშინდელივითგვერდზე არავის მოიჯენს, რომ თავიდანვე მოექცეს ყურადღების ცენტრში..."

დავითმა გადაბრუნება მოინდომა, მაგრამ ვერ შეძლო. მერე იფიქრა, წამოვჯდებიო. ვერც ეს შეძლო. გადაწყვიტა, ელექტროფილაკისათვის თითი დაეჭირა და ექიმი გამოეძახებინა, მაგრამ გადაიფიქრა. მიხვდა, ფეხებს ვეღარ გრძნობდა.

„ალბათ ორ დღეში გავთავდები. იქნებ ამაღამაც ვერ გავაწიო. გამიგონია, სიკვდილს წინ მომაკვდავი ახლობელ მიცვალებულებთან საუბრობსო. მე რატომ ვერავის ვხედავ და ველაპარაკები? იქნება მართლა არ ვკვდები? მაგრამ ფეხები? ფეხები სადა მაქვს? არა, აღსასრული მოსულია. ისე აქედან არავინ გამწყრადა. აქ მოყვანის დღიდან საქმე უკან-უკან მიდის. მე ხომ ყოველთვის მიყვარდა სამართლისთვის თვალის გასწორება".

შემდეგ უცებ ჩაეძინა.

იქნებ წამალმა იმოქმედა?

ძილში სიზმარი არ უნახავს.

გულაღმა ეძინა. გვერდის შეცვლაც არ მოუნდომებია. თუმცა, რომ მოენდომებინა, მაინც ვერაფერს გააწყობდა.

დიდხანს ეძინა, წყურვილმა გაღვიძა. ხახა გამომშრალი ჰქონდა, ტუჩები უხურდა.

გაოფლილ შუბლამდე ხელი ძლივს მიიტანა. თვალი კარგახანია გაახილა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა.

„ვითომ დაღამდა? განა რამდენხანს მეძინა?"

— როგორ ბრძანდებით, ბატონო დავით? — ჩაესმა ყურში.

გაოცდა.

„როდის შემოვიდნენ?"

— ხომ კარგად ბრძანდებით, ბატონო დავით?

აკადემიკოსმა იცნო მიხეილ თეოდორაძის ხმა.

— წყალი მომაწოდეთ.

— წყალი! — გასცა განკარგულება მთავარმა ექიმმა.

დავითი მიხვდა, მთავარი ექიმი მარტო არ ყოფილა.

ვიღაცამ თავქვეშ ხელი ამოუდო და ოდნავ წამოსწია. გაფიცხებულ ტუჩებს ეამა ცივი ჭიქის შეხება. წყალი ხარბად დალია. ცოტა ნიკაპზე ჩამოღვარა და ყელიც დაუველდა.

— კიდევ ხომ არ მოგართვათ? ეს უკვე ექთანი იყო.

— არა, მადლობელი ვარ!

თვალი გაახილა, მაგრამ ამჯერად წყვდიადში თეთრი, უფორმო მასაც ვეღარ გაარჩია.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო დავით? — მესამედ გაუმეორა კითხვა მთავარმა ექიმმა.

აკადემიკოსს მწარედ გაეღიმა.

— ვისთან შედარებით?

— როგორ თუ ვისთან შედარებით? — დაიბნა მთავარი ექიმი.

— ერთი კვირის წინ რომ კაცი გაწერეთ მეხუთე პალატიდან, აი, ის, გუშინ რომ დაასაფლავეს, იმასთან შედარებით, კარგად ვარ, ჩვენს ექთანთან შედარებით კი ძალიან ცუდად!

— მე ყოველთვის ვაფასებდი თქვენს იუმორს.

— ეს იუმორი არ გახლავთ. თუმცა თავისთავად მისასალმებელია, თუ კაცი სიკვდილის წინ იუმორის გრძნობას ინარჩუნებს.

— სასიკვდილო რა გჭირთ, ბატონო დავით. სულ ერთ საათში შინ წაგიყვანთ და იქ უფრო მშვიდად გიმკურნალეთ.

— ერთ საათში?

— ჰო, ერთ საათში.

„ღმერთო ჩემო, ნუთუ უკვე გათენდა? ნუთუ ამდენი მეძინა?"

— აბა, ახლა დამშვიდდით და ძალ-ღონე მოიკრიბეთ!

დავითი მარტო დარჩა. ერთხანს გაირინდა, არაფერს არ ფიქრობდა. ვერაფერს ხედავდა, მაგრამ თვალები მაინც დახუჭა. მიჩვეული იყო თბილდახუჭული ფიქრს. ქუჩაში მანქანების ხმამ იმძლავრა. სმენა ძველებურად კარგი ჰქონდა. მუხრუჭების ღრჭიალი ყურში ისე ჩაესმოდა, თითქოს მანქანა იქვე, საწოლთან დაამუხრუჭესო.

„სკლეროზიანი მაინც ვიყო, რამხელა ტრაგედიაა, როცა გონება ახალგაზრდული გაქვს, სხეული კი დაძაბუნებული და მომაკვდავი..."

„...ნეკროლოგს ალბათ „კომუნისტი" დაბეჭდავს. აუცილებლად დაბეჭდავს. ვინ მოაწერს ხელს? ვითომ აკადემია და ინსტიტუტი? თუ გვარებით წავა? აუცილებლად გვარებით წავა. არსენიშვილის ნეკროლოგს თუ მოაწერეს გვარები, მით უმეტეს, ჩემსას უნდა მოაწერონ. არსენიშვილი მხოლოდ წევრკორესპონდენტი იყო, განყოფილების გამგე. მე აკადემიკოსი ვარ და კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. რასაკვირველია, გვარებით წავა. აკადემიის პრეზიდენტი და ვიცეპრეზიდენტები აუცილებლად მოაწერენ ხელს. იქნებ იმათაც მოაწერონ გვარები?"

დავითს სიამოვნებისაგან გაეღიმა. გემრიელადაც გაიზმორებოდა, რომ შესძლებოდა.

„ისინი თუ არა, ნეკროლოგს საკმაოდ დიდი თანამდებობის ხალხი მაინც მოაწერს ხელს".

„ნეტავ ვინ დაწერს ნეკროლოგს? რა შეკითხვაა, გოგი ხარაიშვილი ვის რას დაანებებს! ჩემი სიკვდილი გაეხარდება, მაგრამ ნეკროლოგს ნაღდად კარგად დაწერს".

დავითი დაფიქრდა. ცდილობდა. ყველაფერი უმთავრესი გაეხსენებინა, რაც კი ნეკროლოგში უნდა ასახულიყო. უცებ გონება გაუნათდა, აკადემიის პრეზიდიუმის ადრესი გაახსენდა, სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით რომ მოართვეს. იმ ადრესში ხომ თითქმის ყველაფერი იყო ასახული, რაც კი მეცნიერს მნიშვნელოვნად მიაჩნდა, საჭირო იყო მხოლოდ მარტივი ოპერაცია, ადრესის საზეიმო დასაწყისისა და დასასრულის სამგლოვიარო დასაწყისითა და დასასრულით შეცვლა. ამას სულ მარტივად გააკეთებდა გოგი ხარაიშვილი. აკადემიკოსმა თავიდან ბოლომდე აღადგინა მისალმების ტექსტი. გულზე ხელი რომ დაიდო, ადრესი ხომ უშუალოდ მისი კარნახით დაწერა გოგი ხარაიშვილმა აკადემიის პრეზიდიუმისათვის.

ტექსტი მოეწონა. რასაკვირველია, კიდევ შეიძლებოდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალის ჩამატება, მაგრამ დაახლოებით იცოდა, გაზეთში მის ნეკროლოგს რამოდენა ადგილს დაუთმობდნენ და მათი ჩამატება საჭიროდ აღარ მიიჩნია.

გუნება გამოუკეთდა. ფეხებს კვლავ ვეღარ გრძნობდა, მხედველობაც თითქმის მთლიანად დაკარგა, მაგრამ ახლა თავის მომაკვდავ სხეულზე აღარ ფიქრობდა, სანეკროლოგე ტექსტი კიდევ ერთხელ აღიდგინა გონებაში.

„როგორ ეფექტს მოახდენს რესპუბლიკაში? „კომუნისტის" ტირაჟი, თუ არ ვცდები, რვაასი ათასია. ე.ი. ორი მილიონი კაცი მაინც წაიკითხავს ჩემს ნეკროლოგს".

უნებურად მკითხველთა შორის ერთი თავისი მეზობელი წარმოიდგინა, მის პირდაპირ რომ ცხოვრობდა, დღესაც არ იცოდა დანამდვილებით, ის კაცი სად მუშაობდა. იცოდა, რომ საქმოსანი იყო და დიდი ფული ჰქონდა. დავითი მას არასოდეს არ აქცევდა ყურადღებას, თუმცა გრძნობდა, რომ მეზობელი გამომწვევად ექცეოდა, მის საქციელში ერთი რამ გამოსჭვიოდა, — აკადემიკოსი თუ არა ვარ, შენზე ნაკლები რითი ვარო. დავითი მეზობლის გამომწვევ ქცევას ალბათ არც არასოდეს ჩაუგდეია არაფრად, ფულით გალაღებულ საქმოსანს ერთი უხამსი საქციელი რომ არ ჩაედინა. დავითმა მეუღლეს ცხოვრებაში პირველად რის ვაივაგლახით ქურქი უყიდა. საბრალო ქალს სიხარული არ დასცალდა, მეზობელმა მეორე დღესვე ზუსტად ისეთივე ქურქი თავის შინამოსამსახურეს უყიდა. ქეთევანს მას შემდეგ აღარ ჩაუცვამს ის ქურქი. უკვე მეშვიდე წელია, გარდერობში ეკიდა ცელოფანგადაცმული.

დავითმა ვერ გაიხსენა მეზობლის სახელი, თუმცა ის კი წარმოიდგინა, როგორ წაიკითხავდა გაზეთში აკადემიკოსის ნეკროლოგს.

„ახლა ხომ მაინც მიხვდება, ვის ეჯიბრებოდა!"

გუნება თანდათან გამოუკეთდა, ტკივილებს ვეღარ გრძნობდა, მოახლოებული სიკვდილი თითქოს სულ დაავიწყდა. პანაშვიდებსა და დასაფლავების ცერემონიალზე ფიქრმა გაიტაცა. თითქოს ეს იყო სამსჯავრო, სადაც საბოლოოდ აიწონებოდა და შეფასდებოდა მისი მოღვაწეობა და შემოქმედება. დავითმა წარმოიდგინა თავის სახლთან მოზღვავებული უამრავი ხალხი, მანქანებით გადაჭედილი ქუჩები. პანაშვიდებზე მისასამძიმრებლად და შემდეგ გასვენებაზე მოსულთა რიგები ლიფტთან და კიბეებზე.

„ალბათ მეზობლებზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს დიდი ხალხის მოსვლა. ახლა მაინც გაარემონტებენ ჩვენს დაბინძურებულ სადარბაზოს".

ტვინში კვლავ სასიამოვნო ნაკადმა დაუარა.

„ორდენებსა და მედლებს, ბუნებრივია, წითელ ბალიშებზე დაამაგრებენ... კიდევ ორი წელი მაინც მეცოცხლა, სამოცდათხუთმეტი წლის თავზეც მომცემდნენ ორდენს".

დავითმა ოცნებაში სინანულით გააქნია თავი. მხოლოდ ოცნებაში, განძრევა უკვე აღარ შეეძლო.

დიდუბის პანთეონს ფიქრიც ვერ შებედა. თუმცა იქ დაკრძალულთა შორის ერთ-ორი მეცნიერი ისეთი ეგულებოდა, მასთან ახლოსაც რომ ვერ მოვიდოდნენ ვერც დამსახურებით და ვერც მეცნიერული შემოქმედებით.

„ჩემი შვილის შემხედვარეს რისი იმედი უნდა მქონდეს! ვაი რომ, გოგი ხარაიშვილის საპატრონო გავხდი!"

სჯეროდა, დამკრძალავი კომისიის მდივანი არაფერს დაიშურებდა თავისი ყოფილი დირექტორის პატივსაცემად. არ დაიშურებდა ბევრი სხვადასხვა მიზეზის გამო.

„ვაკის პანთეონში, მგონი, ერთი ახალი რიგი მიამატეს. ალბათ თავში, ჰუმკრის მახლობლად დამაფლავებენ. მიტინგი ინსტიტუტშიც იქნება და სასაფლაოზეც. ღმერთო, ოღონდ არ გაავდრდეს!".

დავითი კიდევ უფრო ღრმად გაეხვია ნეტარების ბურანში. ახლა მის ირგვლივ კუნაპეტი სიბნელე აღარ იდგა, თითქოს რაღაც სოცარ მოლურჯო ნისლში მიცურავდა, შორს, შორს, ჰორიზონტზე ოქროსფერში რომ გადადიოდა.

მოხუც აკადემიკოს აღარ ეშინოდა სიკვდილისა. პირიქით, თითქოს ეჩქარებოდა კიდეც გამოსთხოვებოდა ამ ქვეყანას, რომ შორიდან დაენახა, რას გამოიწვევდა მისი გარდაცვალება, დაენახა მთელი ცერემონიალი, მისი დაკრძალვისას რომ გაიმართებოდა. ცისფერ ნისლში გახვეული კარგად ხედავდა ინსტიტუტის ვესტიბიულში შემაღლებულზე დადგმულ და ყვავილებში ჩაფლულ საკუთარ კუბოს, საპატიო ყარაულს, შემოდგომის მზით განათებულ, ხალხით გადაჭედილ ქუჩებს, მანქანების მდინარეს, ინსპექტორების ვაივაგლახს, გამვლელი ხალხის ცნობისმოყვარე სახეებს...

„ოღონდ არ იწვიმოს, ოღონდ ამინდი არ შეიცვალოს!..."

ცისფერი ნისლი თითქოს უწვრილესმა სხივებმა დახვრიტა და საცერს დაამსგავსა.

დავითმა უცნაური შვება იგრძნო. ჯერ ვერ მიხვდა, ასეთი სიმსუბუქე როგორ დაეუფლა. შემდეგ კი უწვრილესი ოქროს სხივებით დაცხავებულ ლურჯ სივრცეში შესცურა და აჰა, გიგონია ის, რასაც ელოდა. გიგონია თავისი მუეღლის ჩურჩული. იგი ერთდროულად შორსაც იყო და ახლოსაც. ერთდროულად ძალიან შორიდანაც აღწევდა და იქვე ყურშიც ჩაესმოდა საყვარელი ადამიანის ხმა.

— მოდიხარ, დავით?

— მოვდივარ, ქეთევან!

მოხუც აკადემიკოსს ნერვებს აღარ უშლიდა იქვე, კუთხეში მიდგმული მაცივარი, მტრედების გუნდივით რომ ღმუოდა. აღარც კარის ჭრიალისათვის მიუქცევია ყურადღება. პალატაში მთავარი ექიმი და მისი ვაჟი შემოვიდნენ, მაგრამ დავით იაშვილი მათ უკვე ვეღარც ხედავდა და ვეღარც აღიქვამდა. იგი ცეცხლოვან გვირაბში მიჰქროდა საშინელი სისწრაფით და ერთი სული ჰქონდა, მეორე მხარეს როდის გააღწევდა.

საქართველოს სახალხო ფრონტის წესდება

საქართველოს სახალხო ფრონტი (სსფ) არის ეროვნული პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მაქსიმალურად გაძლიერება და განმტკიცება, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისათვის შეუპოვარი ბრძოლა, ჭეშმარიტად დემოკრატიული კანონმდებლობისა და შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების შექმნის გზით, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების რეალური გამიჯვნის გზით, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისათვის ნიადაგის მოამზადება; სახელმწიფო ეროვნული ინტერესების დაუთმობლად,კერძო მეწარმეობის, ფერმერული მეურნეობისა და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების წამოყალიბებისათვის ხელშეწყობით საქართველოს ეკონომიკური აღორძინების უზრუნველყოფა და მოსახლეობის ცხოვრების სასურველი დონის მიღწევა უახლოეს მომავალში.

საქართველოს სახალხო ფრონტი თავის მიღწევაზე წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების ფარგლებში.

საქართველოს სახალხო ფრონტს ხელმძღვანელობენ მისი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ უმრავლესობის გადაწყვეტილებას და უმცირესობის უფლებების დაცვას.

I. ორგანიზაციული სტრუქტურა

1. სსფ შედგება პირველადი, საქალაქო და რეგიონული ორგანიზაციებისაგან. აგრეთვე სსფ-ში გაერთიანებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან.

ა) პირველადი ჯგუფი.

2. სსფ-ში პირველადი ჯგუფი ქმნება სსფ-ის არანაკლებ 5 წევრის მიერ ტერიტორიული პრინციპით. ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაშვებია მხოლოდ ერთი პირველადი ჯგუფის არსებობა.

3. სსფ-ის პირველადი ჯგუფი თავის წევრთა საერთო კრებაზე ირჩევს მდივანს (კოორდინატორს), წყვეტს ადგილობრივი მნიშვნელობის ცალკეულ საკითხებს. კრება უფლებამოსილია ოუკი ამას ესწრება ჯგუფის წევრთა 2 3 გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით.

4. სსფ-ის პირველადი ჯგუფი ვალდებულია შეასრულოს სსფ-ის ყრილობის და დარბაზის დადგენილებები, მმართველი საბჭოს განკარგულებები და მითითებანი.

ბ) რეგიონული ორგანიზაცია.

5. რეგიონული ორგანიზაცია წარმოადგენს რეგიონში მოქმედი პირველადი ჯგუფების გაერთიანებას. ერთ ადმინისტრაციულ რაიონში დასაშვებია მხოლოდ ერთი რეგიონული ორგანიზაციის არსებობა. რეგიონული ორგანიზაცია იურიდიული პირია. აქვს მრგვალი ბეჭედი და ანგარიში ბანკში.

6. იქ სადაც არ ჩამოყალიბებულა პირველადი ჯგუფი დასაშვებია სსფ-ის წევრთა გაერთიანება უშუალოდ რეგიონულ ორგანიზაციაში.

7. სსფ-ის რეგიონული ორგანიზაციები იქმნება არსებული დარაიონების მიხედვით. საქალაქო ორგანიზაციები (გარდა თბილისისა და ქუთაისისა), ერთიანდებიან შესაბამის რეგიონულ ორგანიზაციაში.

8. სსფ-ის რეგიონული ორგანიზაციის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს კონფერენცია, რომელიც უფლებამოსილია თუ მას ესწრება დელეგატთა 23. კონფერენცია გადაწყვეტილებას იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით.

9. რეგიონული ორგანიზაციის კონფერენცია რომელიც მოიწვევა წელიწადში არანაკლებ ერთხელ:

ა) აყალიბებს სსფ-ის რეგიონული ორგანიზაციის გამგეობას,

ბ) ირჩევს რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

გ) ირჩევს ყრილობის დელეგატებს

დ) მმართველ საბჭოს და დარბაზს წარუდგენს იავის წინადადებებს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ პირთა შესახებ.

10. რეგიონული ორგანიზაციის საბჭოში ავტომატურად შედიან პირველადი ჯგუფების მდივნები (კოორდინატორები), გამგეობას ირჩევს კონფერენცია, გამგეობის ოდენობას განსაზღვრავს კონფერენცია.

დ) სსფ-ში დამოუკიდებელ ერთეულებად შედიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ სსფ-ისა და საკუთარი წესდების ფარგლებში.

12. სსფ-ში გაერთიანებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები უფლებამოსილნი არ არიან გააკეთონ პოლიტიკური განცხადებები.

13. სსფ-ში გაერთიანებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას უფლება აქვს დაუბრკოლებლივ გავიდეს სსფ-ის შემადგენლობიდან, გასვლის შესახებ წინასწარი უმოტივაციო განცხადების გაკეთების აუცილებლობის დაცვით.

II. სსფ-ის წევრი

14. სსფ-ის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი მოქალაქე განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელიც აღიარებს სსფ-ის წესდებას და პროგრამას, იხდის საწევრო გადასახადს და მონაწილეობს მის საქმიანობაში.

15. სსფ-ში შესავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები ითვლებიან სსფ-ის წევრებად.

16. სსფ მორალურსა და სხვა სახის პასუხისმგებლობას თავისი ინდივიდუალური და კოლექტიური წევრების საქმიანობაზე კისრულობს ამ უკანასკნელის მხოლოდ იმ წაწილში, რომელიც სსფ-ს საქმიანობას განეკუთვნება. ინდივიდუალური ან კოლექტიური წევრი სსფ-ის წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ იმ მოქმედებაზე, რომელიც სსფ-ის შემადგენლობაში ან სსფ-ის სახელით სრულდება.

17. სსფ-ის წევრად მიღებას ახორციელებს რეგიონული ორგანიზაციის გამგეობა.

18. სსფ-ის წევრს უფლება აქვს: აირჩიოს და არჩეულ იქნას სსფ-ის არჩევით სტრუქტურაში და თანამდებობებზე, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია სსფ-ის საქმიანობის შესახებ.

19. სსფ-ის წევრი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს სსფ-ის დავალებები.

20. სსფ-ის წევრი, რომელსაც სურს სსფ-დან გასვლა, ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ გააკეთოს წერილობითი განცხადება რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის სახელზე და ჩააბაროს საწევრო წიგნაკი.

21. სსფ-ში ამა თუ იმ საზოგადოებრივი ორგნიზაციის გაწევრიანება ხორციელდება მისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე და სსფ-ის დარბაზის თანხმობით.

22. სსფ-ის წევრი სსფ-დან ირიცხება ულრისი საქციელისათვის, წესდებისა და შინაგანაწესის უხეში დარღვევისათვის, აგრეთვე სსფ-ის დავალებების სისტემატიური შეუსრულებლობისათვის არასაპატიო მიზეზით, საწევრო გადასახადების გადაუხდელობისათვის ზედიზედ ექვსი თვის მანძილზე.

23. სსფ-ის წევრს უფლება აქვს მისი გარიცხვის შესახებ რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის დადგენილება გაასაჩივროს მმართველ საბჭოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

24. სსფ ვალდებულია დაიცვას თავისი თითოეული წევრის კანონიერი ინტერესები და პიროვნული ღირსება.

III. სსფ-ის მმართველი სტრუქტურები.

ა) ყრილობა

25. სსფ-ის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს ყრილობა, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ. სსფ-ის ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა 2/3. ყრილობა გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით:

ყრილობა:

ა) იღებს წესდებას და პროგრამას და შეაქვს მასში შესწორებანი,

ბ) ირჩევს სსფ-ის თავმჯდომარეს ორი წლის ვადით,

გ) ირჩევს სსფ-ის დარბაზის 20 წევრს

დ) ქმნის სსფ-ის სარევიზიო კომისიას.

26. სსფ-ის რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა სსფ-ის თავმჯდომარის ან სსფ-ის დარბაზის გადაწყვეტილებით. სსფ-ის რიგგარეშე ყრილობა მოწვეული უნდა იქნას არაუგვიანეს ერთი თვისა სსფ-ის თავმჯდომარის ან დარბაზის მიერ, ყრილობის მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

ბ)მმართველი საბჭო

27. მმართველი საბჭო წარმოადგენს სსფ-ის ხელმძღვანელ ორგანოს: ის უძღვება სსფ-ის ყოველგვარ საქმიანობას.

28. მმართველი საბჭო:

ა) ნიშნავს სსფ-ის პრეს-მდივანს, დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეებს, სსფ-ის მმართველი საბჭოს განყოფილების გამგეს,

ბ) შეიმუშავებს სსფ-ის მიმდინარე და პერსპექტიულ პოლიტიკას და ცხოვრებაში ახორციელებს მას,

გ) ამზადებს პოლიტიკურ მითითებებს და რეკომენდაციებს პარლამენტის წევრებს სსფ-დან,

დ) იღებს გადაწყვეტილებებს პოლიტიკური ორგანიზაციის ცხოვრების ნებისმიერ სფეროში,

ე) აკეთებს განცხადებებს თავისი სახელით,

ვ) განაგებს სსფ-ის ფულად სახსრებს,

ზ) რეკომენდაციებს უწევს სსფ-ის წევრებს ამა თუ იმ პასუხსაგებ სახელმწიფო თანამდებობებზე მათი კანდიდატურის წარსადგენად

თ) რეგიონული ორგანიზაციების წარდგინებით ინიშნავს და დარბაზს დასამტკიცებლად წარუდგენს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატებს,

ი) იწვევს თემატიკურ კონფერენციებს.

29. მმართველი საბჭო იკრიბება ორ კვირაში ერთხელ მაინც. მმართველი საბჭოს სხდომებს უძღვება სსფ-ის თავმჯდომარე, მის არ ყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის ერთერთი მოადგილე.

იმ შემთხვევაში თუ მმართველი საბჭოს სხდომას ვერ დაესწრო ვერც სსფ-ის თავმჯდომარე და ვერც რომელიმე მოადგილე, მაშინ სხდომის თავმჯდომარეს ირჩევს თვით საბჭო.

30. მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებებისა და მითითებების შესრულება სავალდებულოა სსფ-ის ყველა წევრისა და ქვემდებარე ორგანოსათვის.

გ) დარბაზი

31. ყრილობებს შორის დროის მონაკვეთში სსფ-ის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა დარბაზი. დარბაზის შემადგენლობაში ყრილობის მიერ არჩეული წევრების გარდა თანამდებობით შედიან სსფ-ის რეგიონული თავმჯდომარეები, ან მათი ნებით აღჭურვილი პირები.

დარბაზის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა 23, ხოლო გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

32. დარბაზი თავის პირველსავ სხდომაზე, რომელიც იმართება მისი არჩევის დღესვე, ირჩევს სსფ-ის თავმჯდომარის მოადგილეს და მმართველ საბჭოს. მმართველი საბჭოს რაოდენობას, ადგენს დარბაზი სსფ-ის თავმჯდომარის წარდგინებით ერთი წლის ვადით. სსფ-ის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები შედიან მმართველი საბჭოს შემადგენლობაში; ამტკიცებს სსფ თავმჯდომარის რწმუნებულებს და მრჩევლებს.

33. სსფ-ის დარბაზს უფლება აქვს:

ა) სსფ-ის სახელით გააკეთოს პოლიტიკური განცხადებები,

ბ) სსფ-ის თავმჯდომარეს და მმართველ საბჭოს მისცეს რეკომენდაციები და რჩევები მიმდინარე და პერსპექტიული პოლიტიკის თაობაზე.

გ) შეაფასოს სსფ-ის თავმჯდომარის, მმართველი საბჭოს და დარგობრივი კომისიების მუშაობა.

დ) მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა.

ე) სსფ-ის თავმჯდომარეს ან მმართველ საბჭოს წარუდგინოს თავისი წინადადებები ამა თუ იმ პასუხსაგებ სახელმწიფო თანამდებობებზე წარსადგენი კანდიდატურების შესახებ,

ვ) მიიღოს გადაწყვეტილება სსფ-ის შემადგენლობაში ამა თუ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიღება-არმიღების შესახებ

34. სსფ-ის დარბაზის სხდომებს უძღვება სსფ-ის თავმჯდომარე. არყოფნის შემთხვევაში კი სსფ-ის თავმჯდომარის ერთერთი მოადგილე. იმ შემთხვევაში თუ დარბაზის სხდომას ერთდროულად ვერ ესწრებიან თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, სხდომის თავმჯდომარეს ირჩევს თვითონ დარბაზი. დარბაზი იკრიბება თვეში ერთხელ მაინც.

დ) სსფ-ის თავმჯდომარე

35. სსფ-ის თავმჯდომარე წარმოადგენს საქართველოს სახალხო ფრონტს ყველა დონის ურთიერთობაში. ის სსფ-ის სახელით აკეთებს განცხადებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, ხელს აწერს დოკუმენტებს, ხელმძღვანელობს მმართველი საბჭოს და დარბაზის მუშაობას. ნიშნავს თავის რწმუნებულებს და მრჩევლებს.

ე) სსფ-ის თავმჯდომარის მოადგილეები

36. სსფ-ის თავმჯდომარის მოადგილეები წარმართავენ სსფ-ის საერთო საქმიანობას თავმჯდომარისა და მმართველი საბჭოს მითითებებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე, ხელმძღვანელობენ პროპაგანდისტულ საქმიანობას, პრეს-ცენტრსა და საინფორმაციო სამსახურს. წარმართავენ სსფ-ის რეგიონულ ორგანიზაციებთან მუშაობას, სსფ-ის მეურნეობას და ხელმძღვანელობენ მმართველი აპარატის მუშაობას.

ვ) სსფ-ის პრეს-ცენტრი და საინფორმაციო სამსახური

37. სსფ-ის პრეს-ცენტრი სისტემატიურად აწყობს სსფ-ის ხელმძღვანელთა პრეს-კონფერენციებს, მმართველ საბჭოსთან შეთანხმებით ან მისი მითითებით აკეთებს ოფიციალურ განცხადებებს როგორც პოლიტიკური ასევე პარტიული ცხოვრების ამა თუ იმ საკითხზე. სსფ-ის შესახებ ინფორმაციებს აწვდის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

პრეს-ცენტრის სახელით გაკეთებულ განცხადებებს ხელს აწერს სსფ-ის პრეს-მდივანი.

38. პრეს-მდივანი ხელმძღვანელობს საინფორმაციო სამსახურსაც, რომელიც აგებენ საინფორმაციო ბანკს საქართველოში და მეზობელ სახელმწიფოებში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ. აგებენ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მოკლე ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას.

IV. სსფ-ის დარგობრივი კომისიები

39. სსფ-ის ძირითად მუშა ორგანოს წარმოადგენს დარგობრივი კომისია, რომელიც კურირებს რეგიონული ორგანიზაციების მუშაობას შესაბამისი მიმართულებით.

სსფ-ის დარგობრივ კომისიებს (გარდა სარევიზიოსი) ქმნის მმართველი საბჭო.

V.მმართველი საბჭოს აპარატი

40.სსფ-ის მმართველ საბჭოში ფუნქციონირებს საორგანიზაციო განყოფილება.

საორგანიზაციო განყოფილების მოვალეობაა პოლიტიკური საბჭოს და დარბაზის სხდომების მომზადება, რეგიონულ ორგანიზაციებთან სისტემატური კავშირი, მათთვის დარბაზისა და მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების გადაცემა და მათ შესრულებაზე კონტროლი, დარგობრივ კომისიებთან ერთად დოკუმენტების პროექტების მომზადება. სსფ-ის წევრთა საღრიცხვო რეჟიმის დაცვა, სათანადო პარტიული დოკუმენტების მოწესრიგება და შენახვა.

VI. საინფორმაციო საშუალებანი

41. სსფ-ის მთავარი საინფორმაციო საშუალებაა გაზეთი „საქართველო“, რომლის რედაქტორს და სარედაქციო საბჭოს, სსფ-ის თავმჯდომარის წარდგინებით, ნიშნავს და ათავისუფლებს მმართველი საბჭო. სსფ რეგიონულ ორგანიზაციები გამოსცემენ საკუთარ გაზეთებს.

VII. სსფ-ის ფულადი სახსრები და მათ გამოყენებაზე კონტროლი.

42. სსფ-ის ფულად სახსრებს შეადგენს სსფ-ის გაძოცემების, აგრეთვე სსფ-ის სიმბოლიკის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, სსფ-ის წევრთა საწევრო გადასახადი და კერძო შემოწირულობანი.

43. საწევრო გადასახადი ყოველთვიურია და მის ოდენობას ადგენს დარბაზი.

44. სსფ-ის ფულად სახსრებს განაგებს მმართველი საბჭო, რეგიონული ორგანიზაციის ფულად სახსრებს რეგიონული ორგანიზაციის გამგეობა.

45. სსფ-ის სახსრების გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებს სარევიზიო კომისია, რომელიც ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე.

VIII. სსფ-ის სიმბოლიკა

46. სსფ-ის გააჩნია თავისი სიმბოლიკა (დროშა, ემბლემა, ჰიმნი) რომელსაც ამტკიცებს ყრილობა.

IX. სსფ-ის ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელი

47. სსფ-ს ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

X. სსფ-ის საქმიანობის შეწყვეტა

48. სსფ საქმიანობას წყვეტს მხოლოდ ყრილობის გადაწყვეტილებით თვითდაშლის შესახებ დელეგატთა საერთო რაოდენობის 4/5ის თანხმობით ან საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო

თვითდაშლის შემთხვევაში სალიკვიდაციო კომისიის მიერ სსფ-ის მიელ ქონება იყიდება აუქციონზე და შემოსული თანხა მთლიანად გამოიყენება საქველმოქმედო მიზნით.

გულკეთილნი ხდებიან მსხვერპლნი ანუ ცოტა ვამპირთა შესახებ

ტატიანამ ორი წლის წინ გაიცნო ნიკოლოზი, ამ ხნის განმავლობაში სიცოცხლის მოყვარული, ხალისიანი, მშვენიერი, მოკისკისე გოგონა ნელნელა იქცა გამოფიტულ, ღონეშეხდილ, ისტერიულ ადამიანად. — ამ შემთხვევას ფსიქოთერაპევტმა ბ. ბურკინმა, რომელიც არა ერთი წელია მუშაობს ბიოენერგეტიკულ პრობლემებზე, ასეთი კომენტარი გაუკეთა:

— ტატიანა — ტიპიური „დონორი", რომელიც ფლობს სიკეთეს, დაუკავშირდა ტიპიურ „ვამპირს", რომელიც საკუთარ არსებობას იცავს იმითი, რომ ირგვლივ მყოფთ აცლის ენერგიას, სასიცოცხლო ძალებს. „ვამპირი" უფრო ინტუიტურად მოქმედებდა, ვიდრე ცნობიერად. მათ გამუდმებით უხდებოდათ უსიამოვნებები, ხოლო ამ დროს ატირებული ტატიანა განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ენერგიას გასცემდა „ვამპირისათვის".

საწუხაროდ, თავის დაღწევა „ვამპირთაგან" შეუძლებელია. ცხოვრებაში ისინი მრავლად არიან. ადვილი შესაძლებელია, რომელიმე მათგანი იწოდეს ჩვენს ენერგიას, რიგებში იქნება ეს, სამსახურში თუ სახლში, ისიც შესაძლებელია, რომ ზოგიერთ „ვამპირს" იმისთანა დემონური ძალა და მადა აღმოაჩნდეს, ისე „დაცალოს სისხლისგან" მსხვერპლი, რომ იგი დაღუპოს. ყველავერი დამოკიდებულია „ვამპირის" ბუნებასა და მის ძალებზე. ასევე იმაზე, თუ რამდენად შეგვწევს უნარი შევეწინააღმდეგოთ მათ ნებას, არ მივცეთ საშუალება იკეთონ „ჩვენი" სისხლით.

თუ თქვენ ხედავთ, რომ რომელიმე ადამიანიან თავს უსიამოვნოდ გრძნობთ, რომ იგი თქვენ გლეთ და გაღიზიანებთ — ეს უკვე უტყუარი ნიშანია იისა, რომ თქვენს წინაშე „ვამპირია". გაწყვიტეთ ყველანაირი ურთიერთობა, თუ ეს შეუძლებელია, აზრით, წარმოდგენით აღმართეთ გაუმტარი კედელი საკუთარ თავსა და მას შორის და არ წამოეგთ მის არანაირ პროვოკაციას.

გახსოვდეთ, რომ ვამპირებს სჭირდებათ გამოგიყენონ თქვენ წონასწორობის მდგომარეობიდან, რადგან ისინი ვერ შეძლებენ იმ ადამიანთა ძალებით იკვებონ, რომელიც მათ მიმართ გულგრილი დამოკიდებულება აქვთ.

საწუხაროდ, მათი მსხვერპლნი ჩვეულებრივ ხდებიან მაღალი ზნეობის, კეთილი ადამიანები, რომლებიც ახსოვებენ სინათლესა და [illegible] სწორედ ეს ხიბლავთ „ვამპირებს."

„ვამპირთა" შორის, რა თქმა უნდა, არიან უნიკალური ჰიპნოზიორებიც, რომლებსაც ძალუძთ გამოიწვიონ ადამიანის ნების პარალიზება, დააკარგვინონ მას შრომის უნარი. მაგრამ ამისთანები, საბედნიეროდ, ერთეულები არიან. თუ ჩვენ არ გვინდა დაკარგოთ სასიცოცხლო ძალები და ზოგ შემთხვევაში სიცოცხლეც კი, ასეთ ადამიანებს საჭიროა გაეწიოთ დიდი წინააღმდეგობა.

ალეგედევა
„არგუმენტი ი ფაქტი" №18, 93
თარგმნა
თამარ ხუციშვილმა



პარლამენტის სპიკერი:

კვორუმი არ არის. ბოლოსდაბოლოს სად დადიან ეს დეპუტატები?!

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი:

პატივცემულო დეპუტატებო, მიხარია, რომ ასე ხშირად გხედავთ ჩემთან. ჩვენში კვორუმი ნამდვილად არის. სესხს ყველას გამოგიყოფთ.

რუსეთი და მისი მეზობლები

დასასრული

ორივე ქვეყანა წარსულში კომუნისტური იყო. ჰოდა, აბა, რატომ უნდა მოუდგეს ერთი საზომით ესტონეთის და ტაჯიკეთს? მეორე: ერთი საზომით მიდგომა გამოიწვევს ძალის გამოყენების აუცილებლობას და ეს რუსეთის შესაძლებლობებს აღემატება. და ბოლოს: ამხელა რეგიონის შესაკავშირებლად ძალის გამოყენება ძირს გამოუთხრის რუსეთის ლიბერალურ რეფორმებს და გააძლიერებს ავტორიტარულ ტენდენციებს. შემთხვევითი არაა, რომ ძირითადად ავტორიტარული ტენდენციების მომხრეები არიან იმპერიის აღდგენის მსურველები და ეს ძალები განსაკუთრებით გააქტიურდნენ გასული წლის დეკემბრის სახალხო დეპუტატთა ყრილობის შემდეგ.

გარდა იმისა, რაც აერთიანებს და განასხვავებს რესპუბლიკებს, რუსეთს აქვს აგრეთვე რეალური ინტერესები ამ ქვეყნებში. ამ ინტერესების არსებობა საყოველთაოდ აღიარებულია. მაგრამ გაურკვეველია, თუ როგორ უნდა იყოს ისინი დაცული. თუ რუსეთი გააგრძელებს თავისი ინტერესების დაცვას ძალისმიერი მეთოდებით, რასაც ადგილი აქვს მოლდოვაში, ან მეზობლების წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების გამოყენებით, ეს თავად რუსეთს შემოუბრუნდება. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და დასავლეთში უკურეაქციის სახით. რესპუბლიკები შეიძლება შეეცადონ გაითამაშონ ეთნიკური კარტი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და აუჯანყონ მას რუსეთის შიგნით მცხოვრები მრავალი არარუსული ჯგუფი. ახალი სახელმწიფოები იძულებული იქნებიან შეიარაღდნენ და მოიპოვონ ახალი მოკავშირეები. და ბოლოს, რუსეთის ძალისმიერმა პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს ფართომასშტაბიანი ომი.

ჯერჯერობით დასავლეთი არ არის მზად უსაფრთხოების რაიმე გარანტიები მისცეს ახალი სახელმწიფოების უმრავლესობას. მაგრამ თუ რუსეთი აამოქმედებს სამხედრო მანქანას, განსაკუთრებით დიდი რესპუბლიკების წინააღმდეგ, დასავლეთის პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს. ყოველ შემთხვევაში რუსეთის მიერ ძალის გამოყენება გამოიწვევს მის საერთაშორისო იზოლაციას. არ არის გამორიცხული, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში დაიწყოს დიდი ომი, რომელიც გასცდება ევრაზიის მასშტაბებს.

რუსეთის ახალი მეზობლების ქცევას კრიტიკული გავლენა ექნება რუსეთის პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე. 14 სახელმწიფოს დიდი თავშეკავება მართებთ რუსეთის რიტორიკის მიმართ. ეს რიტორიკა ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ რუსების აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ყველაზე მეტად ისინი დაზარალდნენ. თუ ახალი სახელმწიფოები მშვიდად შეხვდებიან ამ რიტორიკას, რუსეთმა შეიძლება ვეღარ გაბედოს მუქარის განხორციელება.

რესპუბლიკებმა აგრეთვე უნდა აღიარონ, რომ რუსეთს აქვს რეალური გეოპოლიტიკური ინტერესები. ამასთანავე მრავალმხრივი ხელშეკრულებების ნაცვლად, ახალმა სახელმწიფოებმა უნდა განამტკიცონ ორმხრივი კავშირები, რაც პასუხობს მათი სუვერენიტეტის განმტკიცების მოთხოვნას. ახალ სახელმწიფოებს რუსეთის აგრესიის მოსაგერიებლად დასავლეთის იმედი დიდად არ უნდა ჰქონდეთ. თავდაცვის ხარჯების საჭიროებაზე მეტად გაზრდა ახალი სახელმწიფოების მიერ მხოლოდ გააუარესებს მათ მდგომარეობას, ვინაიდან გამოიწვევს რუსეთის და მათი სხვა მეზობლების კონტრრეაქციას. არ არის გამორიცხული, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში რუსეთი დაიშალოს, მაგრამ რესპუბლიკების მხრივ არ იქნება მართებული იმის ფიქრი, რომ ისინი კატაკლიზმების შედეგად მოგებული დარჩებიან.

დასავლეთის ბედი ბევრწილადაა დამოკიდებული რუსეთში შექმნილ სიტუაციაზე, მაგრამ, სამწუხაროდ მისი ამ სიტუაციაზე გავლენის შესაძლებლობები შეზღუდულია.

და მაინც. რა პოლიტიკა უნდა გაატაროს დასავლეთმა რუსეთთან მიმართებაში?

პირველი. დასავლეთმა უნდა აღიაროს, რომ რუსეთს აქვს საკუთარი ინტერესები და დიპლომატიის მეშვეობით უნდა დაეხმაროს მას და მის მეზობლებს ამ ინტერესების დაცვის მხოლოდ მშვიდობიანი გზით მიღწევაში. დასავლეთმა უნდა ხაზი გაუსვას იმას, რომ მეზობელი ქვეყნების და უმცირესობების წინააღმდეგ ძალის გამოყენება მაშინვე გამოიწვევს დახმარების შეწყვეტას და მთელი მსოფლიოს თვალში შერცხვენას.

მეორე. დასავლეთმა უნდა შეაგნებინოს რუსეთს, რომ იგი არ აღიქვამს პოსტსაბჭოთა კონფიგურაციას როგორც „რუსეთს და მის ფილიალებს". მან მხარი უნდა დაუჭიროს ახალი სახელმწიფოების დამოუკიდებლობას და აღიაროს, რომ ეს-ენ-გემ მოსჭამა თავისი დრო. დღეს ეს-ენ-გეს არსებობა მხოლოდ იმპერიის აღდგენაზე მეოცნებე მოსკოველ კონსერვატორებს, აძლევს ხელს.

მესამე. დასავლეთი შეიძლება იძულებული გახდეს მხარი დაუჭიროს ევროთათბირის ფარგლებში მოლაპარაკების მეშვეობით საზღვრების შეცვლას. გარდა ამისა, საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა განიხილოს 15 სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვის იძულებითი მექანიზმების შექმნის აუცილებლობა.

მეოთხე. დასავლეთმა რუსების და არარუსების მიმართ უნდა გაატაროს „მკაცრი სიყვარულის" პოლიტიკა. გაეროს, ევროთათბირის ფარგლებში გამოყენებული უნდა იქნას მო[illegible]ური ბერკეტები და დ[illegible]ზირება. გარე სამყარომ განსაკუთრებული [illegible] უნდა გააკეთოს რო[illegible]ბებთან ღირსეულ მოპყრობაზე, ასევე საზღვარგარეთ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის მოტივით ძალის გამოყენების აკრძალვაზე. სხვა შემთხვევაში ჩვენ შეიძლება მივიღოთ სიტუაცია, რომელიც შეიქმნა სუდეტელი გერმანელების დაცვის მოტივით გერმანიის ჩეხოსლოვაკიაში ინტერვენციის შედეგად. ეს ნათლად დაგვანახა ბოსნიამ და მოლდოვას დნესტრისპირეთის რეგიონებმა.

და ბოლოს. დასავლეთმა ამ რეგიონში უნდა შეასრულოს დამბალანსებლის როლი, გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა ბრიტანეთი ევროპაში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. დასავლეთი უნდა დაეხმაროს სუსტ სახელმწიფოებს ძლიერთა წინააღმდეგ და ამით ალაგმოს შესაძლო აგრესია. უნდა განხილული იქნეს ყველა შესაძლო ვარიანტი, რესპუბლიკებისადმი უშიშროების გარანტიების მიცემა, იარაღის გადაცემა და ა.შ. ამასთანავე დასავლეთმა უნდა გამოიჩინოს წინდახედულება, არ გაებას უსაფრთხოების მახეში, არ აღმოჩნდეს ჩათრეული ომში, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ დასავლეთი გადადგამს ყველა ზემოთჩამოთვლილ ნაბიჯს.

მაგრამ მაინც არ არსებობს არავითარი გარანტია, რომ რუსეთის პასუხი მის წინაშე მდგარ კითხვებზე დემოკრატიული იქნება.

თარგმნა
მიხეილ სააკაშვილმა

საქართველოს სახალხო ფრონტში

საქართველოს სახალხო ფრონტის თბილისის რეგიონულ ორგანიზაციებში ტარდება კონფერენციები.

სახალხო ფრონტის III ყრილობის შედეგებიდან გამომდინარე კონფერენციების დღის წესრიგშია ადგილობრივი არჩევნების, საქალაქო კონფერენციის მოწვევის და ორგანიზაციული საკითხები.

მიმდინარე წლის 18 მაისს შედგა სახალხო ფრონტის ნაძალადევის რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია.

რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულია გივი ყურაშვილი. მოადგილედ — გურამ ნიკოლაიშვილი, აირჩა გამგეობის ხუთი წევრი: ფრიდონ ასლანიკაშვილი, გაიოზ ინასარიძე, ქეთევან სისაური, ქეთევან ვაშალიძე, ზურაბ ბაბუნაშვილი.

ამა წლის 19 მაისს ჩატარდა სახალხო ფრონტის ვაკის რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია.

რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვახტანგ გოგიჩაიშვილი, მოადგილედ — ზურაბ კუპრავა, აირჩა გამგეობის სამი წევრი: სერგო ცხადაძე, რამაზ ჯაფარიძე, ვაჟა კაკაბაძე.

მიმდინარე წლის 19 მაისს ჩატარდა სახალხო ფრონტის ისნის რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია.

რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვასილ შარაბიძე აირჩა გამგეობის 11 წევრი: როლანდ ბარბაქაძე, მურადი შენგელია, ხვიჩა გრიგალაშვილი, ნელი თევზაძე, ირაკლი ხმალაძე, უშანგი დემურიშვილი, გივი მათიაშვილი, თიური ჭულუხაძე, ემზარი ჭუმბურიძე, მათე ანასტასოვი, ჯემალ ოტიაშვილი.

გასწორება

„საქართველოს" წინა ნომრის პირველ გვერდზე სახალხო ფრონტის მიმართვაში ქვემო ქართლის მოსახლეობისადმი მეოთხე აბზაცის მეორე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „რათა არ გაღაიზარდოს პიროვნული შურისძიება ადამიანთა დიდი ჯგუფების დაპირისპირებაში.

შემდეგ როგორც ტექსტშია.

სსფ განცხადება

მიმდინარე წლის 28 მაისს 13 საათზე გაიმართება სსფ დარბაზის სხდომა. მისამართი: თბილისი, პუშკინის ქ 5/7 სსფ შტაბ-ბინა

სსფ საორგანიზაციო განყოფილება

ლტოლვილთა საყურადღებოდ!

თუ თქვენ ნევროპათოლოგის დახმარებას საჭიროებთ, გახსოვდეთ, რომ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ცოტნე ჩხიკვიშვილი თქვენს განკარგულებაშია ყოველ ოთხშაბათს და პარასკევს 14—30-დან 16-00-მდე, ცხადია უსასყიდლოდ.

ბატონ ცოტნეს კოორდინატებია: ჭავჭავაძის პროსპექტი 33, ქალაქის მე-9 საავადმყოფო, II სართული, ნევროლოგიური განყოფილება

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კომახიძე
ფელიქს კოჭიაშვილი
სერგო ჯანაშია



რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 20 კაპიკი